

ოქმი N4

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2017 წელი, 31 იანვარი

ქ. ოზურგეთი, 11⁰⁰სთ

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარე: გ.კობალაძე.

თავმჯდომარის მოადგილე: ნ.გოგუაძე.

კომისიების თავმჯდომარეები: ნ.ტაბატაძე, ლ.ბიგვავა,
მ.მახაროზლიძე, ლ.თოიძე.

ფრაქციის თავმჯდომარეები: თ.ნადირიძე, კ.კვაჭაძე, ნ.ორაგველიძე,

საკრებულოს წევრები: გ.ძიმისტარიშვილი, ვ. ჩიგოგიძე, ლ.მგელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი ლ. ჭელიძე, საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები.

არ ესწრებოდნენ: ნ.შარაშანიძე, ი.საჯაია, თ.სალუქვაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2017 წელს რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: მერაბ წივწივაძე

მომხსენებელმა მ. წივწივაძემ - მუხლობრივად განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

აზრი გამოთქვას: ლ. მგელაძე - ჩვენ აღნიშნული პროექტები განვიხილეთ ფრაქციის სხდომაზე, მოწონებული პროექტებიდან ამოღებულია რამდენიმე ქუჩა, ჩემდა გასაკვირად ჩემი საარჩევნო ოლქიდან არის ქუჩები ამოღებული. კიდევ აღმოჩნდა, რომ ჩოხატაურის და დანჩენკოს ქუჩები ბოლომდე არ კეთდება, ასევე ჯანაშიას ქუჩა, სადაც

სასწრაფომ ავადმყოფს ვერ მიუსწრო და გარდაიცვალა. მე არ მეგონა დამტკიცებული გეგმიდან თუ შეიძლებოდა ქუჩების ამოკლება.

ნ. ორაგველიძე - ძალიან ცუდი მდგომარეობაა უნივერსიტეტის ქუჩაზე.

მ. წიფწივაძემ - ანასეულში წელს დაგეგმილია გზის საფარის ორმული და მოხრეშვითი შეკეთება.

ვ. ჩიგოგიძე - დიდი მადლობა რუსთაველის ქუჩის მოასფალტებისათვის, მაგრამ ძალიან ცუდი მდგომარეობაა რუსთაველის ქუჩის მე-2 შესახვევში, ასევე ძალიან ცუდია 9 აპრილის ქუჩის ჩასასვლელი გურიის ქუჩაზე.

გ. კობალაძე - ადგილობრივი შემოსავლებიდან ინფრასტრუქტურულ პროექტებში ჩასმულია 200 ათ. ლარი, ამ ქუჩებზე მოხდება ორმული და მოხრეშვითი შეკეთებები.. სულ არის 112 ქუჩა, ძირითადი ქუჩები მოწესრიგებულია, ვეცდებით ადგილობრივი შემოსავლებით დავამატოთ თანხები ქუჩების მოსაწესრიგებლად.

**დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა 12 ხმით
წინააღმდეგი: თ. ნადირიძე, ლ. მგელაძე.
განკარგულება თან ერთვის**

სხდომის თავმჯდომარემ გელა კობალაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

გელა კობალაძე

გელა კობალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა